ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

1990
სამშაბათი
9
ოქტომბერი
№121 (10358)
ფასი 8 კაპ.

გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების №91 რუსთაველის ოლქის საუბნო-საარჩევნო კომისიების შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

**№ 10 საუბნო-საარჩევნო კომისია**

თავმჯდომარე: მაჭაცარია როლანდ შალვას ძე (სრ. საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება)

მოადგილე: მიქენაია რებეკა ერმიზეს ასული (სკკპ წევრი)

მდივანი: ლურწკაია ხათუნა ალექსანდრეს ასული (უპარტიო)

წევრები

1. როგავა გურამი იროდის ძე (წმინდა ილია მართლის საზოგადოება)
2. ბუკია მანანა დავითის ასული (რუსთაველის საზოგადოება)
3. ნარმანია მაყვალა ორესტის ასული (საქ. სახალხო ფრონტი)
4. ცქვიტაია დოდო ამირანის ასული (უპარტიო)
5. ზუბუა დათო ალექსანდრეს ძე (სკკპ წევრი)
6. შველიძე მაია გიორგის ასული (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია)
7. ფარცვანია რაფიელ ორდენის ძე (უპარტიო)
8. მითაგვარია მზია დათიკოს ასული (უპარტიო)

**№ 11 საუბნო-საარჩევნო კომისია**

თავმჯდომარე: ანთია იოსებ კარლოს ძე (სრ. საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება)

მოადგილე: მაქაცარია თენგიზ გაგას ძე (უპარტიო)

მდივანი: მიქენაია ნათელა ვალერიანეს ასული (წმინდა ილია მართლის საზოგადოება)

წევრები:

1. ეფენია მაია ნუგზარის ასული (საქ. სახალხო ფრონტი)
2. გულუა ნანული იასონის ასული (უპარტიო)
3. შონია კარლო გიორგის ძე (სკკპ წევრი)
4. ესართია მურმან ვლადიმერის ძე (ლიბერ-დემოკრატ. ეროვნული პარტია)
5. როგავა როზა ამბაკოს ასული (სკკპ წევრი)
6. ბეჟვაია ბესო გივის ძე (უპარტიო)

**№ 12 საუბნო-საარჩევნო კომისია**

თავმჯდომარე: ლურწკაია მალხაზ გენადის ძე (ჰელსინკის კავშირი)

მოადგილე: მამარდაშვილი ცისანა მამიას ასული (სკკპ წევრი)

მდივანი: კაკაშვილი ზესარიონ ვალერიანეს ძე (სრ. საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება)

წევრები

1. ელიავა ერასტო იასონის ძე (სახალხო ფრონტი)
2. შელია გენადი ვარლამის ძე (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია)
3. კონჯარია გოგი პარმენის ძე (სკკპ წევრი)
4. ფუტკარაძე მთვარისა გენადის ასული (წმინდა ილია მართლის საზოგადოება).
5. აკობია ლენიზა ნოდარის ასული (სკკპ წევრი)

**№ 13 საუბნო საარჩევნო კომისია**

თავმჯდომარე: კაკულია ალიკო მურმანის ძე (უპარტიო)

მოადგილე: ქორიძე ლეონტი შალვას ძე (სკკპ წევრი).

მდივანი: ხუბულავა მიმოზა სევერიანეს ასული — (ჰელსინკის კავშირი)

წევრები

1. უგულავა იგორ ავთანდილის ძე (წმინდა ილია მართლის საზოგადოება)
2. წურწუმია გიორგი მამიას ძე (სკკპ წევრი)
3. ესართია რუსიკო მურმანის ასული (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია)
4. ჭითანავა ლია აკაკის ასული (უპარტიო)
5. ნაჭყებია პოლიკარპე ხუტას ძე (სკკპ წევრი)

**№ 14 საუბნო საარჩევნო კომისია**

თავმჯდომარე: ლამბაშიძე ლია არჩილის ასული (წმინდა ილია მართლის საზოგადოება)

მოადგილე: ჯიქია გოგი პარმენის ძე (უპარტიო)

მდივანი: ავალიანი ციალა ამბაკოს ასული (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია)

წევრები:

1. ქარდავა ნაზი შალვას ასული (საქართველოს სახალხო ფრონტი)
2. ქობალია მაია ზაურის ასული (ჰელსინკის კავშირის წევრი)
3. მინჯორაია გიორგი დუდუხის ძე (სრ. საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება)
4. ვეკუა დაზმირ პალიკოს ძე (სკკპ წევრი)
5. ჯიქია გოგი პარმენის ძე (უპარტიო)
6. ჟვანია ემზარ ბიჭიკოს ძე (უპარტიო)
7. მოსია პაპუნა ოთარის ძე (უპარტიო)
8. ხვიჩა სვეტა ვანოს ასული (უპარტიო)

**№ 15 საუბნო საარჩევნო კომისია**

თავმჯდომარე: ჩიქავა ვალერიან ვალერიანეს ძე — უპარტიო).

მოადგილე: კაკულია თენგიზ გვანჯის ძე (სრ. საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება)

მდივანი: თოდუა ნანა შოთას ასული (უპარტიო)

წევრები:

1. ქვარაია გულიკო მირიანის ასული (საქართველოს სახალხო ფრონტი)
2. მიქაია კახა კარლოს ძე (უპარტიო)
3. კუხალეიშვილი ვახტანგ ძიკას ძე (სრ. საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება)
4. წერეთელი აკაკი კოლიას ძე (სკკპ წევრი)
5. კუტალია ალიოშა ორდენის ძე (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია)
6. კვარაცხელია ლიანა ოდიკის ასული (უპარტიო).

**№ 16 საუბნო საარჩევნო კომისია**

თავმჯდომარე: ოჩიგავა ვალტერი იროდის ძე (ჰელსინკის კავშირი)

მოადგილე: ჩილაჩავა ანგელინა შოთას ასული (სკკპ წევრი)

მდივანი: ხასია იზოლდა სპირიდონის ასული (სკკპ წევრი)

წევრები:

1. წყაროზია ვალერი ლევანის ძე (წმინდა ილია მართლის საზოგადოება)
2. ჩოკორაია ნონა შოთას ასული (სახალხო ფრონტის წევრი).
3. მესხია გოჩა ჯემალის ძე (სრ საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება)
4. ხასია გიორგი მიხეილის ძე (სკკპ წევრი)
5. დარახველიძე დალი სულიკოს ასული (ლიბერალურ-დემოკრატიულ ეროვნულ პარტია)
6. წურწუმია მადონა დამიანეს ასული (უპარტიო)
7. ქირია ლონდა ლანჩიშას ასული (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება).

**№ 17 საუბნო-საარჩევნო კომისია**

თავმჯდომარე: გერგედავა ვახტანგ შალვას ძე (სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება)

მოადგილე: არაჩემია ლირა ილიას ასული (სკკპ წევრი)

მდივანი: ქვარაია გულიკო მირიანეს ასული (საქართველოს სახალხო ფრონტი)

წევრები

1. გრიგოლაია მანონი იპოლიტეს ასული (ილია მართლის საზოგადოება)
2. ჩილაჩავა ეკა ჯუმბერის ასული (ჰელსინკის კავშირი)
3. ზოდელავა დარეჯანი ჯანსულის ასული (სკკპ წევრი)
4. ნემსაძე გია გიორგის ძე — (ლიბერალურ-დემოკრ. ეროვნული პარტია)
5. აბხაზავა მანანა ევგენის ასული (უპარტიო)
6. კაჭარავა მარგალიტა ნეოფიტეს ასული (უპარტიო)

№ 91 რუსთაველის საარჩევნო საოლქო კომისიის თავმჯდომარე
ნ. აკობია

ნ. ქანთარია
მდივანი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ოდიში" № 120.

## ზუგდიდის საარჩევნო ოლქებში რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა სია

**№ 91 რუსთაველის საარჩევნო ოლქში**

1. ჟორჟოლიანი თამაზ ომარის ძე—საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო"
2. კალანდია ზაურ ვლადიმერის ძე—საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება"
3. ანთელავა ილია პავლეს ძე—რუსთაველის საზოგადოება.
4. ბერულავა ბესიკ პავლიკოს ძე—საარჩევნო ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება"
5. კალანდია ბორის გიორგის ძე—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია,
6. ბერძენიშვილი მურთაზ ალიოშას ძე—საქართველოს სახალხო ფრონტი.
7. თითმერია ჯუმბერ იპოლიტეს ძე—საარჩევნო ბლოკი „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება".
8. ესართია ჰამლეტ მიხეილის ძე—„ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირის" ბლოკი.
9. ანთია დემურ შალვას ძე —საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო".

**№ 92 კახათის საარჩევნო ოლქი**

1. ბუჩუკა ნაპო ილარიონის ძე—საარჩევნო ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება"
2. ქირია ჯემალ სამსონის ძე—საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება"
3. ზუგუჩია ჯოტო იოსების ძე—კომუნისტური პარტია.
4. კალანდია მაია ნაპოს ასული—რუსთაველის საზოგადოება.
5. სართანია ტარიელ ვალერიანის ძე—„საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირის" ბლოკი.
6. ტუღუში აბესალომ გრიგოლის ძე—სახალხო ფრონტი"
7. კოგალია ზაურ დავითის ძე—საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო"
8. გეგეჭკორი არნოლდ მიხეილის ძე— „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება"
9. ტაბაღუა ქეთევან ვენედიქტის ასული— საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო"

**№ 93 რუხის საარჩევნო ოლქი**

1. გულორდავა აბესალომ მევონას ძე —„განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება"
2. ანთელავა ნუგზარ კონსტანტინეს ძე— საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება"
3. გუნავა გურამ იოსების ძე კომუნისტური პარტია
4. თოლორაია ზვიად პავლეს ძე—რუსთაველის საზოგადოება"
5. კიკიანი თამაზ ლუკას ძე —„საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირის" ბლოკი.
6. თორდია ბადრი აკაკის ძე —„თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება".
7. კილასონია რუსლან მიხეილის ძე— საქ. სახალხო ფრონტი
8. შურღაია ვალტერ გრიგოლის ძე— საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო"
9. ქარჩავა ბორის შალვას ძე— საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო"

## საბაზრო ეკონომიკა: პირველი სიძნელეები, დაძლევის გზები

კოოპერატიული საწარმოო-ზუგდიდის სარემონტო-მექანიკური კომბინატის კოლექტივი ჩვეული გულმოდგინებით ეძიებს მუშაობის ახლებურ სტილსა და მეთოდებს, წარმოების არასტანდარტულ სტრუქტურებს. საწარმოს ამჟამინდელ ამოცანებზე და პერსპექტივებზე აი, რა გვითხრა კოლექტივის ხელმძღვანელმა ანზორ ქუჩულორიამ.

# ყველაფერს ალოგ გადაწყვეტს

—უპირველეს ყოვლისა, მკითხველებს ალბათ დააინტერესებთ, დღევანდელ რთულ პირობებში როგორ ართმევთ თავს თქვენს წინაშე დასმულ საგეგმო დავალებებს?

—ჩვენს სინამდვილეში თავჩენილ ათასი სახის სიძნელეებზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, რა თქმა უნდა, მათი სუსხი ვერც ჩვენ ავიცდინეთ. მიუხედავად ამისა, მოხერხდა კოლექტივის მობილურობა და შრომის სწორად ორგანიზება. მიმდინარე წლის ცხრა თვის მონაცემები არც თუ ურიგოა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,5 პროცენტით იქნა განაღდებული. ვიმედოვნებთ, ყველა რესურსები გაგვაჩნია საიმისოდ, რომ სამეურნეო წელი სტაბილური მაჩვენებლებით დავასრულოთ. აქვე არ შემიძლია მოვნდომება არ შევუქო ძირეულ ქვეგანაყოფებს. გამოიკვეთა მექანიკური, თალოვანი კონსტრუქციების, სამშენებლო სამონტაჟო საამქროების მწყობრი რიტმით საქმიანობა, რომელსაც უნარიანად უძღვებიან ლ. კანკია, თ. ლომაია და მ. ხასია. გამოვყოფდი მუშების: თ. ჯიბლაძის, ბ. დოლბანძის, გ. ესართიის, ა. კვარაცხელიას, ლ. ნაყოფიას და სხვათა კეთილსინდისიერ შრომას.

—ახლა საწარმოები ენერგიულად იწყებენ თადარიგს საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე გადასასვლელად. რა კეთდება ამ მიმართულებით თქვენს კოლექტივში და რა პროგნოზები გესახებათ?

—თამამად მივაკუთვნებ ჩემს თავს იმ სამეურნეო მუშაკთა რიცხვს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაში ჩვენი სახალხო მეურნეობის მომავალ ხსნას ხედავენ. სულ სხვა საკითხია, როგორ „დაყნოსავ" მოსალოდნელ ცვლილებათა პარამეტრებს და რამდენად ოპტიმალურად მოიმარჯვებ ამ უჩვეულო პროცესების ადაპტაციის მექანიზმებს. ამ მიმართულებით ჩვენთანაც დაისახა ქმედითი ღონისძიებები. ამ საზაურისთან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილმა მუშა ჯგუფმა ყოველი ძირეული სტრუქტურებიდან წარმოდგენილი ანალიზური მასალების საფუძველზე შეიმუშავა სამოქმედო მოდელი. ნოემბრის შუა რიცხვებამდე საბოლოოდ განისაზღვრება მომავალ პარტნიორებთან სახელშეკრულებო მოვალეობანი. ამაში იგულისხმება იმ ტიპის სამუშაოები, რომელთა შესრულებასაც დამკვეთი ჩვენგან მოელის. ამასთან ვაზუსტებთ იმ მასალათა ნომენკლატურას, რომელიც მომწოდებლისაგან უნდა მივიღოთ. ამ საკითხების მოგვარებისას აქტიურად ვიყენებთ გაცვლით ოპერაციებს.

საბაზრო ეკონომიკა ჩვენ გვიტოვებს უფლებას თვითონვე ვარეგულიროთ გამოშვებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასი, გადავსინჯოთ ყველა საწარმოო-ტექნიკური ნორმატივები.

—ორიოდე სიტყვით ხაზგასმით, რა ახალ პროდუქციას თავაზობთ მომხმარებელს?

—გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი წვლილი შევიტანოთ ჩვენს ყოფაში ასე მძაფრად დამდგარი ეკოლოგიური პრობლემის დადებითად გადაწყვეტაში. გვინდა შევქმნათ სავენტილაციო სამუშაოების შემსრულებელი უბანი, რომელიც რეგიონს მოემსახურება. მალე მშრომელთა სამსახურში ჩადგება ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების საამქრო. ამოქმედდება სახალხო მოხმარების საგნების, კერძოდ რეზინის ნაკეთობათა საამქროები, რომელსაც ვფიქრობ, ექნება ბაზარი. ასევე პერსპექტიულ საქმედ გვესახება პოლიეთილენის ნაკეთობათა წარმოება.

## საკოლო ცხოვრება

### იმედის თვალით მეჭყუ...

ქ. ზუგდიდის № 1 საშუალო სკოლაში სხვა საგნების სწავლებასთან ერთად სათანადო ყურადღება ექცევა ხატვა—ხაზვას, რომელსაც პედაგოგი ნინო ...ია ასწავლის. სწორედ მისი ...უზარელი შრომის შედეგია ..., რომ მოსწავლეები ... ეუფლებიან ამ საგანს.

გასულ სასწავლო წელს, ..., საქალაქო, ზონალურ და რესპუბლიკურ ტურებში მონაწილეობა მიიღეს № 1 საშუალო სკოლის მერვე და მეცხრე კლასის მოსწავლეებმა: ლ. ჩერქეზიამ, ... ხოფერიამ, ს. ეფენიამ, შ. ჩერქეზიამ, გ. ნანავამ, ვ. იზორიამ, ი. ცირდავამ. მათ ნამუშევრებს დიდი მოწონება ხვდა წილად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლადო ჩერქეზია. ... ქალაქ ახმეტაში გამართულ ... გამარჯვებულ მოსწავლეთა გამოფენაზე, წარადგინა ... თავისი მაკეტით და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. მისი წარმატების შესახებ ... შნა საქართველოს მოსწავლეთა გაზეთ „ნერგის" 15 ივნისის ნომერში.

ნ. ზაქარაია.

## არჩევნების წინ

### ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო...

—უთქვამს ბრძენ ხალხს. ამის თქმა რად დამჭირდა, გაიგებენ გულში მკითხველები, მე კი ისევ დავუბრუნდები ჩემს ახალგაზრდობას და დაფიქრებული, ჭირგამოვლილი, გადავავლებ თვალს დღევანდელობას.

გული სიხარულით მევსება, როცა ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა ასე ენთუზიაზმით ებმება ეროვნულ მოძრაობაში.

მომავალ არჩევნებში, ამ თვის ბოლოს გამოჩნდება სიმართლე, ხალხი ვის დაუჭერს მხარს. მე მტკიცედ მჯერა, რომ ხალხი ბრძენია და იგი არ შეცდება.

მრავალპარტიულ არჩევნებში ერთხმად მივიღოთ მონაწილეობა ყველამ, რამე თუ საბოლოო მიზანი ყველასათვის ერთია: თავისუფალი საქართველო!

თ. ფადაქარია.

## ვეტერანთა საკეთილდღეოდ

ამ დღეებში, პარტიის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში მოეწყო რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა შეხვედრა ქალაქისა და რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა მ. დოჩიამ.

საქმიანი წინადადებებით წარსდგნენ ვეტერანები: ნ. ლაგვილავა, ს. ფაფია, ი. ჩხაპელია, თ. ფაცაცია, ბ. ბაკარაძე, ი. მიქავა, ვ. შამუგია, ვ. თოდუა, ა. ანთია, უ. კოდუა, ხ. მოლაშხია, ქ. შეროზია და სხვები. მათ აღნიშნეს, რომ ვეტერანთა რაიონული საბჭო წელიწადზე მეტია ითხოვს რაიონის ვეტერანებისათვის სურსათითა და სამრეწველო საქონლით მომარაგების უზრუნველსაყოფად რეგიონების მიხედვით მაღაზიების მოწყობას, რაც ჯერჯერობით ვერ მოახერხა რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელობამ, ასევე ხარვეზებია ვეტერანთა გაზით, ტელეფონით, ჟურნალ-გაზეთებით მომარაგების საქმეში. გამომსვლელებმა მოითხოვეს თანადგომა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხის მოგვარების საქმეშიც.

ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე, არსებულ სიძნელეებზე და საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაზე, შეხვედრაზე წამოჭრილ ვეტერანთა პრობლემებზე ისაუბრა საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუნავამ, ვეტერანთა კითხვებს უპასუხეს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორმა მ. ჯაბუამ, ტრესტ „ზუგდიდგაზის" მმართველმა ლ. ჭანიამ, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსმა ა. გოგიამ.

შეხვედრამ ნათლად წარმოაჩინა, რომ საზოგადოებას კიდევ მეტი ღვაწლის გაწევა მოუწევს ომისა და შრომის ვეტერანთა საკეთილდღეოდ.

ვ. ჯღამაია,
ომისა და შრომის ვეტერანი.

## მწვავე ტონით

### ნუთუ პიროვნებას არ გაანაღდებენ?

დიდ ფრანგ განმანათლებელს დიდროს აქვს ნათქვამი: თუ გინდა ერი ძლიერი იყოს, მას ისე ასწავლეთ ხატვა, როგორც წერა-კითხვა და მათემატიკა. ამ მოხდენილი და ტევადი ფრაზით დაიწყო თავისი საუბარი რედაქციაში შემოსულმა სერგო ხუბუტიამ. „ოდიშის" მკითხველებს, მგონია, არ ჭირდება ამ პიროვნების წარდგენა. იგი ფერმწერი გახლავთ, ამასთან სათავეში უდგას ზუგდიდის რეგიონალურ ბავშვთა სამხატვრო სკოლას.

შეწუხების მიზეზი ვკითხეთ.

—ვერა და ვერ დადგა საშველი ბავშვთა სამხატვრო სკოლისათვის შესაფერისი შენობის გამონახვის პრობლემას,—გვითხრა მან. არ მინდა ერთი წუთითაც ვინმეს ყურადღება მივაპყრო თვით სკოლის შიგნით, წმინდა პროფესიული სწავლების თანმდევ ზოგიერთ სიძნელეზე. ეს ჩვენი „საშინაო სამზარეულოს" საიდუმლოებებია, რომელთაც ასე, თუ ისე ჩვენვე მოუვლით. მაგრამ ვერაფერი მოგვეხერხება სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. დღემდე როგორღაც გვილოდვილებდით იქ მეცადინეობის ჩატარებას. მაგრამ ამჟამად ქამთა ქარებისაგან იავარქმნილი ეს ფარღალალა ფიცრული სახლი დაიხურა ავარიული მდგომარეობის გამო. შარშან ვხედავდით ამასწინათ საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე საკითხის დასმაში და ამ უკანასკნელის მხრიდან აღთქმულ მხარდაჭერაში. რომ იტყვიან, დადგენილება ხელში გვიჭირავს, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ სკოლას საექსპლოატაციოდ უნდა დაეცეს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დროებით დაქვემდებარებაში მყოფი საპარიკმახეროს შენობა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე. არის პირობა, რომ რემონტის ჩატარების შემდეგ ისინი ძველ საპარიკმახეროში გადავლენ და ეს შენობა ჩვენ გადმოგვეცემა. ... იმედით ვართ დღემდე, მაგრამ სამწუხაროდ, რემონტი კუს ნაბიჯებით მიდის. და ყოველგვარი შანსი არსებობს საიმისოდ, რომ მეცადინეობის დაწყება წელს ისევ ჩვენს ძველ „რეზიდენციაში" განახლდეს.

### რედაქციის მინაწერი

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილში დაყენებული მტკივნეული პრობლემის დადებითად გადაწყვეტის ვადას უცილოდ შეამოკლებენ ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსა და სამშენებლო ორგანიზაციის მესვეურები. გვჯერა, რომ ეს ამხანაგები გულგრილნი ვერ დარჩებიან ჩვენი ნორჩების მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის სასიცოცხლო პრობლემისადმი.

## ქამი გონივრული გადაწყვეტილებისა

29 სექტემბრის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" რუბრიკით—„კოლხიდა: კამათი არ დამთავრებულა", გამოქვეყნებულია დარჩელის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მ. ახალაიას წერილი. მასში გადმოცემულია კოლექტივის ხელმძღვანელისა და მისი თანამოაზრეების ჭიდილი სიძნელეებთან, რომლებიც წლობით ახსენებდა მათ თავს. აქვე მინიშნებულია იმ გზებსა და საშუალებებზე, რომელთა გონივრული მოხმობით დადებითად გადაწყდა რიგი პრობლემები, დაისახა პერსპექტივა, მოლონიერდა მეურნეობა.

„როცა თვალს მოავლებ დღევანდელ კოლხეთს,—აღნიშნავს ავტორი, უნებლიეთ გახსენდება წარსული წლები, როცა იწყებოდა ამ ნიადაგების ათვისება. უკვე გაკეთებულისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახა. ბევრი რამ, რათქმა უნდა, მიღწეულ იქნა. ამისი მაგალითებიც სახეზეა: 1200 კომლმა თავისი საკარმიდამო ნაკვეთებით ლადად გაშალა მხრები. მათ უხვი მოსავალი მოიწიეს. და ეს მოხერხდა დამშრობი ღონისძიებების წყალობით...

დარჩელელთა საშრომელ-საზრუნავს თვალნათლივ გამოხატავს შემდეგი აბზაციც:

...„კარგად მოფიქრებული სტრატეგია და ტაქტიკა ყოველთვის შედეგის მომტანია. და რაოდენ საწყენია, რომ კოლხეთის დაბლობის ათვისების ჟამს დაშვებულ იქნა რიგი შეცდომები, უზუსტობანი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებანი. მათი გამომწვევი მიზეზი მეტწილად მთელი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი კადრების არაკომპეტენტურობაში უნდა ვეძიოთ და არა სიტუაციის, ადგილობრივი პირობების არცოდნაში. მოვიდა დრო, როცა პრინციპულად უნდა გადაისინჯოს ძველი პოზიციები, შემუშავებულ იქნას აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებები, ახალი პროგრამები. დღეს უკვე შეცდომების დაშვება გამორიცხულია, ამას არავინ არ გვაპატიებს".

ავტორის ამ და სხვა მოსაზრებებს სოფლის ეკონომიკის გარდაქმნის საკითხებზე მკითხველი ინტერესით გაეცნობა.

ჯ. თელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ეს სიახლეა

კომპიუტერების გამოყენების სფერო დღითი-დღე იზრდება, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, სამაგიეროდ მას მაღალ დონემდე აჰყავს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება. კომპიუტერებს დღეს რამდენიმე ახეული სპეციალობა აქვთ. სამწუხაროდ, მათ ჩვენს ქალაქში მყარად ვერ მოიკიდეს ფეხი.

პერსპექტიული საქმე გააკეთდა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის კოლექტივის თაოსნობით. სადგურის ბაზაზე დაარსდა ქალაქ ზუგდიდის ინფორმატიკის რეგიონული ცენტრი, რომელიც შედის საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს გაერთიანება „ინფორმატიკის" შემადგენლობაში. აქ მუშაობა მიმდინარეობს ორი სასწავლო და საწარმოო მიმართულებით. ცენტრში ფუნქციონირებს რამდენიმე პერსონალური კომპიუტერის, დისპლეის კლასი „კორვეტის", „ელექტრონიკა 0505", „ბკ0010" და „იამახას" ბაზაზე. იგი ერთ-ერთი კომპიუტერული საბაზო ცენტრია ზუგდიდში, სადაც ხდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის უფასო კომპიუტერული მომსახურების გაწევა გამოთვლითი ტექნიკის პრაქტიკული ათვისების მიზნით. მოსწავლეები

# რას გვთავაზობს კომპიუტერული საბაზო ცენტრი

აქ ერჩევიან კომპიუტერების გამოყენებას სხვადასხვა მათემატიკური გამოთვლებისათვის, მასზე მზა პროგრამების რეალიზაციას.

მიმდინარე სასწავლო წლიდან ცენტრში იმუშავებს ინფორმატიკა-გამოთვლითი ტექნიკის, პროგრამირების საფუძვლების შემსწავლელი, რადიო-ელექტრონიკის, ფიზიკის, მათემატიკის და სხვა წრეები, რომელთა მიზანია მოსწავლეთა კომპიუტერული განათლების უზრუნველყოფა. აქედანვე დაიწყება სპეციალისტთა მომზადების პროცესი ინდივიდუალური სწავლების მეთოდით. აქტიური მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით იასპარეზებენ ოლიმპიადებში, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სწორედ ისინი გახლავთ ის რეზერვი, რომელსაც შეუძლია შეამციროს ჩვენს ქალაქში ტექნიკოსების, ოპერატორების, პროგრამისტების, ელექტრიკოსებისა და სხვა სპეციალისტთა დეფიციტი.

ცენტრი ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ისახავს როგორც სახალხო განათლების სისტემის, ისე სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვას, ახალი ტექნიკის მონტაჟსა და გამართვას, დაწესებულებების რადიო და ელექტროფიკაციას, საწარმო-დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის გამოთვლითი ტექნიკის ფასიან საგარანტიო მომსახურებას, როგორც საპრეისკურანტო, ისე სახელშეკრულებო შეთანხმებულ ფასებში.

ცენტრში ფუნქციონირებს აგრეთვე სპეციალური დანიშნულების კომპიუტერები „ელექტრონიკა" მს-0585, ეს —1840, რომელთა პროგრამული უზრუნველყოფა პრაქტიკულად მოიცავს ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. მანქანასთან ურთიერთობა სხვადასხვა ტიპის დიალოგური პროგრამებით მიმდინარეობს. ენის სიმარტივე შესაძლებელს ხდის მისი გამოყენების მასობრიობას. მანქანა საშუალებას იძლევა შეიქმნას სხვადასხვა სახის ცნობარები და მონაცემთა ბანკი, მოხდეს მათი დახარისხება ინფორმაციის სწრაფი და მოხერხებული დამუშავების მიზნით, ხოლო საჭირო ინფორმაციის შენახვა სხვადასხვა გარე მოწყობილობებზე ან გადატანა ქაღალდზე.

ამჟამად ინფორმატიკის რეგიონალური ცენტრის პროგრამისტთა ჯგუფი მუშაობს ქალაქ ზუგდიდის სოციალური და ეკონომიკური განვითარების, მონაცემთა ბანკის შექმნის ამოცანებზე, ავტოსატრანსპორტო და სხვა საწარმო - დაწესებულებათა ქვედანაყოფების კომპიუტერიზაციაზე. ცენტრი უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის საქმიანი ქაღალდების შედგენა-გამრავლებას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, გამოთვლითი ტექნიკის იჯარით აღება-გაქირავებას, როგორც საწარმო-დაწესებულებებზე, ისე კერძო პირებზეც.

ვისარგებლოთ ზემოთ აღნიშნული სიკეთით, მეტი ყურადღება დავუთმოთ საწარმოთა კომპიუტერიზაციას, რის გარეშეც წარმოუდგენელია წარმოების მართვა და შემდგომი განვითარება.

მ. ქაკულია,
ინფორმატიკის რეგიონალური ცენტრის წამყვანი ინჟინერ-პროგრამისტი.

გ. ღარასელია,
ცენტრის დირექტორი.

---

მოვუაროთ წარსულის მემკვიდრეობას

# ეთნოგრაფიული შენიშვნები

უცხოურობით გატაცებულმა ჩვენი კუთხის საზოგადოებამ კარგახანია გადაივიწყა ის ეროვნული სახელოვანი ტრადიციები, რაც შემოგვთავაზეს ჩვენმა წინაპრებმა. ამის გამო დღეს ჩვენი თანამემამულენი ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან კოლხურ და სვანურ კოშკს, ასევე კოლხურსა და სვანურ ქუდს; ონის, კავკავისა და ჭვარულ (კოლხურ) ნაბადს. შეიძლება იმიტომაც, რომ ესენი ძალიან გვანან ერთმანეთს. ასე რომ არ იყოს, ის ქართველურ ტომთა კუთვნილება არ იქნებოდა. მე აქ მინდა რამდენადმე გავარკვიო, ეს ნივთები იმ მცირე ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნებით, რომლითაც ისინი ცალკე სახელებს იმსახურებენ. კოლხურ კოშკი გოდლის თავზე მხოლოდ ზედა არეზე აქვს სათოფურები (იხ. ჭაჭვინჯის ციხის ხედი, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია". ს. მაკალათია), მთავარ დადიანთა ძველი სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთის გოდოლი. ამათგან განსხვავებით სვანური კოშკის გოდლის ზედა არე ცოტაზე უფრო განზეა გაწეული და კოშკის ტანის გასწვრივ ქვედა მიმართულებით) ჩაჭრილები აქვს ისრისა თუ ტყვიის გასასვლელად, რომ მტერმა ციხის ძირამდე ვერ მიაღწიოს, ორნამენტიც განსხვავებული აქვს. რაც შეეხება, ჭვარში (ლაყორიას უბანში) მდგარ კოშკს, ის კოლხური ტიპისა იყო, რომელსაც ამ ახლო დრომდე თავისი ფორმა ჰქონდა შემორჩენილი. სვანეთის მიმართულებით სამანქანო გზის გაყვანის დროს წარმოებული აფეთქების შედეგად აღნიშნულ კოშკს ზედა არე მოერღვა. ამჟამად ძეგლთა მიმდინარე რესტავრაციის დროს ზემოდ აღნიშნული განმასხვავებელი ნიშნების უცოდინარობის მიზეზით სვანური კოშკის ფორმაზე იქნა გადაკეთებული. შეიძლება რესტავრატორები იმანაც შეიყვანა შეცდომაში, რომ ის სვანურ კოშკივით ცალკე დგას ჭიხა-ციხის, ან სასახლეთა გარეშე, რაც იშვიათობას წარმოადგენს კოლხეთში.

კოლხური ქუდი სვანურს ჰგავს, მაგრამ სვანურზე დიდია—ის ყურამდე სწვდება, ან შეიძლება მთლიანად ფარავდეს ყურს, სვანური კი შესამჩნევად მოკლეა. კოლხური ქუდის წარმოება დამახასიათებელი ფორმით სოფ. ჭვარში შეინარჩუნეს და ამ ბოლოდროს მას „ჭვარული ქუდის" სახელით იცნობენ. ასევე კოლხური ნაბადი ჭვარული ნაბდის სახელითაა ცნობილი. ნაბდის წარმოებით საქართველოში (საერთოდ კავკასიაში) სამი მხარეა ცნობილი: ჭვარი კოლხეთში (იგივე ეგრისში), ონი რაჭაში და კავკავი ჩრდილო ოსეთში. ჭვარული ნაბდის ბეწვი დაბალია და ვარცხნილი, მხრებში ოდნავ მომრგვალო, სატარებლად რბილი და მოქნილია. ონურ ნაბადს (დაღესტნურივით) ბეწვი არა აქვს, მხრები მაღლა აქვს შემართული. კავკავის ნაბდისთვის დამახასიათებელია გრძელი და ხვეული ბეწვები (მხრები ამასაც მაღლა აქვს აშვერილი). ასეთი ნიშნებით მათი გამოცნობა ძნელი არაა, რადგან ცალკეულ მათგანს თავისი კუთხის ნიშანდობლივი ფორმა აქვს. კოლხურია ასევე; ეგრეთწოდებული, ფრთიანი ქუდები, რომელიც თექისაგან კეთდებოდა და აგრეთვე ჰილობისაგან. საბედნიეროდ დღეს ჩაის კრეფასთან დაკავშირებით საჭიროებამ მოითხოვა და ძალზე გავრცელებულია ისევ მთელს კოლხეთში. დიდად სასურველი და აუცილებელია ჩვენი ერის კაცი უცხოურობას არ გადაჰყვეს და აღიდგინოს სალხინო და სამგლოვიარო შემთხვევებში ის სახელოვანი ტრადიციები, რაც შემოგვთავაზეს ჩვენმა წინაპრებმა ქორწილებში და სალხინო შემთხვევებში ჭიმღერით კუჩხაბედნიერი, ჩვენებური სუფრული და საცეკვაო სიმღერები, გლოვა ჩავატაროთ შინაარსის ფორმით, რომ ჭირის სუფრა განსხვავდებოდეს ლხინის სუფრისაგან, დამარხვა სრულდებოდეს სამარხვო ხორაგით. დე, გავიგოთ, რომ ეს მხოლოდ რელიგიური არაა, არამედ ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შინაარსია. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი სუფრა სახასიათო არაა და პატივი უნდა მივაგოთ ერის სულიერ განწყობილებით შექმნილ სახელოვან ტრადიციას. მიცვალებულის დამარხვის დროს ჭირისუფალს მხარში ედგნენ მხოლოდ ახლო ნათესავები. სამგლოვიარო პროცესია მიმდინარეობდა კივილისა და გლოვის ზარით, დღეს კი ასეთები შესცვალა არა ეროვნულმა, ცალკეული ინდივიდების სურვილებზე დაფუძნებულმა ცერემონიებმა. ქორწილი საიარმარკო ბაზრობას უფრო ჰგავს, ტირილი კი მიცვალებულის ცხედრის საჯარო გაყიდვას, რაც ჩირქს ცხებს და დიდად ამცირებს ქართულ სახელოვან ეროვნულ ტრადიციებს. ფრანგი განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულების მიხედვით რომ ვთქვათ, შეიძლება ეს ტექნიკის განვითარების შედეგიც იყოს. მაგრამ რითაც არ იყოს გამოწვეული, სახელოვანი ტრადიციის შელახვა დაუშვებელია. თუ წესს შეცვლის საზოგადოება, უკეთესით უნდა შეცვალოს და არა ერის დამამცირებელი ფორმებით. ეროვნული ტრადიციის შეცვლის უფლება ცალკეულ ადამიანებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ცალკეული შემთხვევების დროს შესაბამისად უნდა ვლინდებოდეს შინაარსის შემცველი ფორმები, რომ კაცმა იგრძნოს—ის ქრისტიანულ საქართველოშია და არა სხვაგან. შენიშვნები მაქვს აგრეთვე ჩვენი ლოტბარების მიერ დამახინჯებული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების შემსრულებელთა მიმართ. ის რომ ჩვენი კუთხის საზოგადოებამ გვიან შეიგნო ის ნაკლოვანი მხარეები, რაც გააჩნია მას საკუთარი ხალხური შემოქმედების ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ ჩვენთან შედარებით დიდად დაწინაურებული აღმოჩნდნენ სხვა ქართველი ტომები და თვით ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები მეზობელი ტომებიც. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ძველს კოლხეთში (ეგრისში) საქვეყნოდ ცნობილი სიმღერები: კეისრული, დადიანური, ვახტანგური, შრომის, აკვნის, სარიტუალო და სხვა მრავალი დავიწყებას მიეცა. და ზოგიერთ მათგანს თუ ასრულებენ ჩვენი გუნდები, ძალზე დამახინჯებულად მღერიან. მისამღერი ტექსტებიც ძალზე დამახინჯებულადაა ჩართული, რაც სრულ გაუგებრობას ქმნის. ეს სიმღერები ვისაც ჭარობაზე მოუსმენია, მის ყურთასმენას ვერ დაატკბობს შემდგომ პერიოდში, დამახინჯებულად ნამღერი ეს ჰანგები. მეორე უკიდურესობა ისაა, რომ ჩვენს ქორწილებში ყველაზე საუკეთესო, საბედნიერო, სალხინო და საცეკვაო რეპერტუარებს (მგზავრული, მაყრული, კუჩხიბედნიერი, სუფრული, დავლური, ცეკვა ქართული და ჰარირა) არ ასრულებენ. სადღეისოდ ის შესცვალა ერთ დროს აზიისა და აფრიკის ყრუ უდაბნოებში ველურების მიერ შექმნილმა ყიაყიამ და ტვისტის ცეკვამ, სმას გადაყოლილმა ლათაიებმა. გამდიდრების მიზნით მოწვეული აურაცხელი „ნათესავ-მოყვარეთა" ხორხოცმა ჩვენს სუფრას ეროვნული სახელოვანი ტრადიციის სახე სრულიად წარუშალა და საიარმარკო ბაზარს დაამგვანა. საჭიროა ღმერთს შევევედროთ და ვთხოვოთ გვაპატიოს სახელოვანი ტრადიციების წინაშე ეგზომად ჩვენი აღზევება.

კალისტრატე სამუშია,
სამეცნიერო ცენტრის ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

---

# გვეღირსება კი?

ძირძველი, დიდი და ლამაზი სოფელია ძველი აბასთუმანი. 504 კომლიანი სოფელი 1870 მცხოვრებს ითვლის. სოფელი იმითაც არის ლამაზი, რომ მას გამრჯე ადამიანები ამშვენებენ. თუმცა ამ ადამიანებს ბევრი საფიქრალ-საწუხარი აქვთ. სოფელი ქალაქიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული. ამ 18-კილომეტრიანი გზის „დალაშქვრა" ხშირად მთელი დღის დაკარგვის ფასად უჯდებათ აბასთუმნელებს, რადგანაც ავტობუსი კანტი-კუნტად თუ გამოჩნდება სოფელში. არ დაადგა საშველი თხოვნა-მუდარას — სოფელში ავტობუსი რეგულარულად რომ მოძრაობდეს.

სხვა საწუხარიც გვაქვს. აქ მთელი წელია გაზი არ შემოუტანიათ. ოდითგანვე მწიგნობრობით განთქმულ სოფელში დიდი დაგვიანებით — 15 დღეში ერთხელ მოაქვთ ჟურნალ-გაზეთები და სხვა საფოსტო გზავნილებანი.

დროა, ბოლოსდაბოლოს, აბასთუმნელთა სატკივარი ყურად იღონ იმ ორგანიზაციათა მესვეურებმა, რომელთაც მსგავსი საკითხების მოგვარება ხელეწიფებათ და ევალებათ, ბრალდა, მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

მ. ლატარია,
აბასთუმნის სასოფლო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარე.

# საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების № 92 კახათის ოლქის საუბნო კომისიები

**უბანი №11—ინგირი**

**თავმჯდომარე:** გვაჯაია ანზორ ვლადიმერის ძე — უპარტიო.
**მოადგილე:** ხასაია მზია ნესტორის ასული—სკკპ წევრი.
**მდივანი:** თოდუა ალბერტ დომენტის ძე—სკკპ წევრი.

**წევრები:**
1. შეროზია ჟუჟუ არსენის ასული— წმ. ილია მართლის საზოგადოება.
2. ჯიქია მარინა ველოდის ასული— ჰელსინკის კავშირი.
3. ქარჩავა ქეთინო ვანიჩკას ასული—რუსთაველის საზოგადოება.
4. ჭინჭარაძე ეთერ ვლადიმერის ასული— სახალხო ფრონტი.
5. გულუა ჯამბულ აქვსენტის ძე— ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.
6. ჭოჭუა გრიგოლი სოკრატეს ძე— სკკპ წევრი.

**უბანი №12 კახათი**

**თავმჯდომარე:** შენგელია თემურ აპოლონის ძე — ჰელსინკის კავშირი.
**მოადგილე:** გეთია ვაჟა დომენტის ძე—სკკპ წევრი.
**მდივანი:** ჭვანია თამრიკო ნოდარის ასული—წმ. ილია მართლის საზოგადოება.

**წევრები:**
1. მოსია ჯუანშერ მამიას ძე—სკკპ წევრი.
2. კვირკვია ვალერ ვლადიმერის ძე— მერაბ კოსტავას საზოგადოება.
3. ჩაჩავა ლამარა ტიგუს ასული —უპარტიო.
4. მამფორია რეზო მიროს ძე

დასასრული. დასაწყისი იხ. „ოდიში" №120

— ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.
5. ხაბეიშვილი ვაჟა ბიქტორის ძე—სახალხო ფრონტი.
6. თოდუა მანანა ალიოშას ასული—სკკპ წევრი.

**უბანი №13—ქვემო კახათი**

**თავმჯდომარე:** კაკუბავა ზურაბ გიორგის ძე— წმ. ილია მართლის საზოგადოება.
**მოადგილე:** მოსია დემურ ბიქტორის ძე —სკკპ წევრი.
**მდივანი:** მოსია ემა მურმანის ასული—ჰელსინკის კავშირი.

**წევრები:**
1. ჩაჩაია გარსევან მაკარის ძე —სკკპ წევრი.
2. წითლიძე ზოია დამიანეს ასული—სკკპ წევრი.
3. ფარულავა თენგიზ ნოდარის ძე— მერაბ კოსტავას საზოგადოება.
4. გვილია ნატო რადიონის ასული. —ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.
5. შენგელია ეთერ კაჭას ასული —სახალხო ფრონტი.
6. სორდია ოთარ აკაკის ძე სკკპ წევრი.

**უბანი №14— კოკი**

**თავმჯდომარე:** ზოხია დავითი მაგომეტალის ძე—მერაბ კოსტავას საზოგადოება.
**მოადგილე:** ხუხუა ვახტანგ რაზიკოს ძე— უპარტიო.
**მდივანი:** დურწკაია ვალია ბაჯგუს ასული— ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.

**წევრები:**
1. აბსანძე მზია ხარიტონის ასული—უპარტიო.
2. ჩიქავა დალილა ბონდოს ასული— სკკპ წევრი.
3. თოდუა ფრიდონ სერგოს ძე ჰელსინკის კავშირი.
4. გაბუნია მაია აკაკის ასული —წმ. ილია მართლის საზოგადოება.
5. ჯიქია გოჩა ვარლამის ძე— სახალხო ფრონტი.
6. ჰანტურია დემურ იონას ძე —სკკპ წევრი

**უბანი №15—ოდიში**

**თავმჯდომარე:** სართანია დოდო კოლიას ასული — რუსთაველის საზოგადოება.
**მოადგილე:** სართანია გიორგი ლეონტის ძე.
**მდივანი:** ანთია ლალი ოლიკის ასული—დემოგრაფიული საზოგადოება.

**წევრები:**
1. სართანია ანზორ აკაკის ძე —კოლმეურნეობიდან.
2. ფარცვანია ნონა ბაგრატის ასული—მედმომსახურებიდან.
3. სართანია ზაურ კინტუშას ძე —ჰელსინკის კავშირი.
4. ნანავა თურა ვალიკოს ძე— ლიბერალურ - დემოკრატიული ეროვნული პარტია.
5. გაბედავა თენგიზ გივის ძე —სახალხო ფრონტი.
6. ხარჩილავა თენგიზ გოშას ძე —სკკპ წევრი.

**უბანი №16—ორულუ**

**თავმჯდომარე:** მაჭავარია ბადრი გონელის ძე — ჰელსინკის კავშირი.
**მოადგილე:** ჭედია ფელიქსი არჩილის ძე—სკკპ წევრი
**მდივანი:** ბერტია ხათუნა ბორის ასული— უპარტიო.

**წევრები:**
1. მამფორია თურა მიხეილის ძე —უპარტიო.
2. ხუხუა ნაპო ლევანის ძე— ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.
3. გვაჯაია ჯუმბერ შოთას ძე— წმ. ილია მართლის საზოგადოება
4. მამფორია გელა იროდის ძე —მერაბ კოსტავას საზოგადოება.
5. ჭითანავა ედემი ომეხის ძე —სახალხო ფრონტი.
6. პერტაია თამაზ მიხეილის ძე —სკკპ წევრი..

**უბანი №17 —ორსანტია**

**თავმჯდომარე:** ხუფაცარია ზურაბი ორესტის ძე — ჰელსინკის კავშირი.
**მოადგილე:** გელენავა დენისი ბორის ძე— სკკპ წევრი.
**მდივანი:** წყაბელია ნათელა ნაპოლეონის ასული—უპარტიო.

**წევრები:**
1. ჩიქავა მურთაზი ბონდოს ძე —სკკპ წევრი.
2. აბსანძე გიგლა ბორის ძე— წმ. ილია მართლის საზოგადოება.
3. გვილია გელა რადიონის ძე— ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.
4. ნაჩიკაშვილი თამაზ გედევანის ძე— მერაბ კოსტავას საზოგადოება.
5. ხუბუა რევაზ კოლიას ძე —სახალხო ფრონტი.
6. დარასელია ზაურ გრიგოლის ძე— სკკპ წევრი.

**უბანი №18 ოქტომბერი**

**თავმჯდომარე:** წოწერია გიგლა ალიოშას ძე—სკკპ წევრი.
**მოადგილე:** უბილავა რაიდი იროდის ძე—სკკპ წევრი.
**მდივანი:** შამუგია ზაირა პართენის ასული—რუსთაველის საზოგადოება.

**წევრები:**
1. ზაქარაია მზია გალაქტიონის ასული —ჰელსინკის კავშირი.
2. ქვარცხავა ქეთინო შოთას ასული—მერაბ კოსტავას საზოგადოება.
3. წიწავა შოთა ტერენტის ძე —სკკპ წევრი.
4. ზაქარაია ალიოშა ნაპოს ძე —უპარტიო,
5. ქარჩავა ვახტანგი შალვას ძე — ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.
6. ფიფია ვახტანგ აკაკის ძე— სახალხო ფრონტი.

**უბანი №19—შამგონა**

**თავმჯდომარე:** ჩიქავა პავლე ლულუნის ძე— მერაბ კოსტავას საზოგადოება
**მოადგილე:** დურწკაია კაკო ივანეს ძე—სკკპ წევრი.
**მდივანი:** აქუბარდია გულნარა იპოლიტეს ასული — სკკპ წევრი.

**წევრები:**
1. ხასაია რევაზ მამიას ძე— სკკპ წევრი.
2. წყაროზია გულნაზი ხუტას ასული—რუსთაველის საზოგადოება.
3. დურწკაია ანზორ აბრამის ძე —ჰელსინკის კავშირი.
4. ხუბუა მერაბი პავლიკოს ძე —წმ. ილია მართლის საზოგადოება
5. დურწკაია მალხაზი აკაკის ძე სახალხო ფრონტი.
პერტაია მზია ალექსანდრეს ასული—სკკპ წევრი.

№92 კახათის ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბ. ბაბნიძე,
მდივანი ნ. ჯგუშია.

# შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონულ განყოფილებიდან იტყობინებიან

ამა წლის 2 ოქტომბერს მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის ფაქტზე დაკავებულ იქნენ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილი ანზორ პროფილეს ძე მალანია, მცხოვრები ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში და ადრე ხამჯერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნამყოფი, ხობის რაიონის სოფელ ქვალონში მცხოვრები გივი ამირანის ძე გელენავა.

* * *

8 ოქტომბერს მოქალაქის ძარცვის ფაქტზე დაკავებულია ქ. ზუგდიდის ჩიქოვანის ქუჩის №2-ში მცხოვრები, 1969 წელს დაბადებული მერაბ ტარზანის ძე კიკნაველიძე.

8 ოქტომბერს ახალაბასთუმნის №6 მაღაზიის გამყიდველმა იამზე ალექსანდრეს ასულმა სართანიამ მყიდველს ზედმეტად გადაახდევინა 29 მანეთი და 70 კაპიკი.

* * *

ნარკოტიკული ნივთიერების შენახვისათვის დაკავებულ იქნა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის მცხოვრები, 1968 წელს დაბადებული კობა რემოს ძე აკობია.

* * *

28 სექტემბერს ცაიშის მკვიდრ მალხაზ ლეონტის ძე აკობიასაგან ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა დანაშაულის ჩასადენად გამიზნული საგნები. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

**მოქალაქეთა საყურადღებოდ!**

იყიდება ხაკარმიდამო ნაკვეთის გასაშენებლად სხვადასხვა ჯიშის წიწვოვანი მცენარის, ხეებისა და ბუჩქოვანთა ნერგები.

კერძოდ, მსურველს შეუძლია შეღავათიან ფასებში შეიძინოს პირამიდული კიპარისი, ფიჭვები, ვერცხლისფერი ლვია, ტუია, კუნძგამი თუთი, კუმილნარია და სხვა.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, პარიზის კომუნარების ქუჩა №41.

# ნ. დ. კობალია

რაიონის სახელოვან პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა სახალხო განათლების წარჩინებული, თირემეს არასრული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში, უფროსი მასწავლებელი, სკკპ წევრი 1954 წლიდან ნიკოლოზ დიმიტრის ძე კობალია.

იგი დაიბადა 1924 წელს. 1960 წელს ამთავრებს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს ფიზიკა-მათემატიკის განხრით.

ახალგაზრდა მასწავლებელი პირველ პედაგოგიურ ნათლობას იღებს მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ოზჩაში. მუშაობდა ახალაბასთუმნის საშუალო სკოლაში, ხოლო 1963 წლიდან პენსიაზე გასვლამდე იყო თირემეს არასრული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

მოწოდებით პედაგოგს, გააჩნდა შესაშური ალღო და მიდრეკილება მოსწავლეებისადმი.

ხსოვნა ვალმოხდილისა დიდხანს იცოცხლებს კოლეგების, აღზრდილების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**რედაქტორის მოადგილე ზ. ცხონდია.**

შვილები: გია ლატარია, ფრიდა-ლი, ჟუჟა, კონა, ლამარა დარასელიები, ძმები ვერა, შურა. რძლები: ფენია, თამარა, სიძეები რეზო ქაჯაია, ამირან თოდუა, პაატა ჰანტურია, შვილიშვილები: გოჩა, ნინო, ნანა ლატარიები, როინი, გოგი, მამუკა პურცელიები, სამა, დათო მეიქტუხები, ბადრი ჩარგაზია, მალხაზი, მაკა ქაჯაიები, დისშვილები: როზა, გელა მანიები, ლანა, ნარგიზა, ტიტო წურწუმიები, ძმისშვილები კოტე, მურთაზი, ზეინაბი გიგიბერიები, მაზლიშვილები: ფენია, ჟორჟ, ჰიჰიკო, ბორისი, სულიკო, რეზო, ბორისი დარასელიები, მულიშვილები: ციცა, მარგო, ნელი, მზია ბესელიები, შვილთაშვილიშვილები: ვიკა, ლიკა, ეკა, ბექარი, ხალიანა, ხიზანა, ჯოვანა, ინგა, ლადა, ახლო ნათესავები იუწყებიან

**კაკა ელის ასულ გიგიბერია-დარასელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ოქტომბერს. დაკრძალვა 11 ოქტომბერს სოფ. ჭითაწყარში.

მეუღლე დოდო ნარმანია, შვილები: მანონი, მაია, ბადრი. და კლარა, სიძეები: არჩილ შენგელია, რამინ ციმინტია, ცოლისდები: ლორა, ჟოზეფი, ქვისლი ოიანი ახალაია, შვილიშვილები: ცირა, მაია, ძმისშვილები მიმოზა, ნუგზარი, ბექანა, შარდენი, ბორისი, ნანული, მზიური, დისშვილები თინათინი, ფრიდონი, ავთანდილი შენგელიები, ბიცოლა ლიმო, რძლები ლილიკო, ელიკო, კუკუშა. ბიძაშვილები: მილია, ნელი, ინდიკო, გედევანი, ციცინო, ლევანი ქირიები, არიადნა, ნელი, ანდრუშკა გვასალიები, მამიდაშვილები: ალინა, პალიკო უბილავები. გოგი დარასელია, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**გენადი აქვსენტის ძე ქირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ოქტომბერს, დაკრძალვა 11 ოქტომბერს ს. ოქტომბერში.

ცაიშის საშუალო სკოლის 1990 წელს კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**თამარ თოდუას**

გარდაცვალებას.

ძმა ვალოდია, დეიდა ზოია. ბიძია ვარლამი შენგელია, დეიდაშვილები ჯულიეტა, ლეონიდი შენგელიები, ბიძაშვილები კოკი, კაკო ქირიები, მამიდაშვილები ლულუ. ფუცუ, ლუსიანე კუკავები ოჯახებით იუწყებიან

**გიორგი (ჟორა) ვარლამის ძე ქირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, 12 ოქტომბერს. დაკრძალვა 13 ოქტომბერს სოფ. ცაიშში (ცაცხვი).

ტყაიას ჩაის მიკროფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**შალვა გიორგის ძე დადიანის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის ქალ. ნ. ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივი თანაუგრძნობს ექიმ ლამარა ქვანიას მეუღლის

**თენგიზ (გუდა) აქვსენტის ძე ქვირკველიას**

გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის [illegible] 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47 00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-26-0[illegible] ტირაჟი 22000 შეკ. №4417